

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი

26.04.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

**საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:**

**ანა კლდიაშვილი** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი (სხდომის მდივანი);

**ნინო ძოწენიძე** - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;

**კონსტანტინე ნანობაშვილი** - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

**ლალი დოდელიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

**დავით კახნიაშვილი** - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი (სხდომის თავმჯდომარე).

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

გიორგი ელისაბედაშვილი - გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

ივანე ალავიძე - გარე მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;

ოთარ სიბაშვილი - შიდა მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

**ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:**

1. დემურ ავალიანი - შპს პეგასის დირექტორი;

2. რომან ტიკაძე - შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის დირექტორი;

3. ნინო ზაქარეიშვილი - შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის დირექტორი;

4. ნუგზარ ეხვია - შპს - ინტელექტის დირექტორი;

5. ნიკოლოზ ბრეგვაძე - შპს - პროგრესი 010-ის დირექტორი;

6. მედეა უზნაძე - შპს - ქორალის წარმომადგენელი;

7. მარგარიტა კუპრაშვილი - შპს - საუნჯის დირექტორი;

8. ნოდარ ნოზაძე - შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის დამფუძნებელი;

9. მანანა გაბათაშვილი - შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდვარის“ დირექტორი;

ქ. კახნიაშვილი

10. ნათია მერებაშვილი - შპს - დამოუკიდებელი სკოლა „მოდვარის“ ხარისხის მართვის მენეჯერი;
11. ნინო გერგიძე - შპს - ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიის დირექტორი;
12. ავთანდილ ლომსიანიძე - შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს დირექტორის მოადგილე;
13. ნათია ქაჯაია - შპს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;
14. მარინე თოდუა - შპს ინტელექტი XXI-ის დირექტორი;
15. იოსებ გუტაშვილი - შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის დირექტორი;
16. ედიშერ ალელიშვილი - შპს - ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის დირექტორი;
17. ნუგზარ ზოსიძე - შპს - ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის კურატორი;
18. გელა აბაშიძე - შპს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა) დირექტორი;
19. ვაჟა სოლომონიძე - შპს - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის დირექტორის მოადგილე;
20. ნარგიზა კოპალიანი - - შპს - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ბუღალტერი;
21. გოჩა ტაბატაძე - ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის დირექტორი;
22. ნინო - თურქიაშვილი - - ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ოპერატორი;
23. ნინო დევნოზაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის დირექტორის მოადგილე;
24. მათა ოდიშარია - შპს - აპოდიქსის დირექტორის მოადგილე;
25. თამარ მანძულაშვილი - შპს - ლამპარის დირექტორი;
26. მანანა წვენიაშვილი - შპს - ლამპარის დირექტორის მოადგილე;
27. ჯულიეტა ალავიძე - შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
28. თემურ წურწუმია - შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის იურისტი;
29. გიორგი ჯანაშია - შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას დირექტორი;
30. ლიანა ჯანაშია - შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას დამფუძნებელი;
31. ლელა ახალაია - შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას დირექტორის თანაშემწე.

**ავტორიზაციის ექსპერტები:**

- დავით ჭეიშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 მიხეილ ტეფნაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;  
 თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;

მარიამ ხუციშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;  
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;  
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;  
მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;  
იანინა გიგიბერია - ავტორიზაციის ექსპერტი;  
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;  
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;  
თამარ ვეფხვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;  
თეა ნადირაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩია დავით კახნიაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:30 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ანა კლდიაშვილს.

#### **თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს - პეგასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს - ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს - პროგრესი 010-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს - ქორალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს - საუნჯეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

8. შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიან სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს - დამოუკიდებელ სკოლა „მოდვარში“ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს - ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა ივერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
12. შპს - ინტელექტი XXI-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
13. შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
14. შპს - ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
17. ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
18. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - აპოდიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
20. შპს - ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
21. შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
22. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

## 1. შპს - პეგასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ 2012 წლის 29 მარტს ცენტრში წარმოდგენილ იქნა №03-2851 კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა, გარდა შემდეგი შენიშვნისა:

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებას 2012 წლის 29 მარტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „გივი ჯგუფთან“, რომლის საგანია სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხოების კამერების შეძენა და მონტაჟი. კამერების დამონტაჟება ხელშეკრულების თანახმად, უნდა მოხდეს საქონლის სრული ღირებულების გადახდიდან 15 სამუშაო დღეში. საქონლის სრული ღირებულება შეადგენს 3190 ლარს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით გადახდილია 1000 ლარი.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მცდელობა მიემართა სხვა კომპანიისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან მიმართა შპს „ელიტ ელექტრონიქსს“, თუმცა მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, რადგან ამ უკანასკნელს არ გააჩნდა სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხოების კამერები.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ერთხელ უკვე მოხდა საკითხის განხილვის გადადება, დაწესებულების მიერ ხარვეზები სრულად უნდა იყოს აღმოფხვრილი.

მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, საბჭოს განუმარტა, შპს - პეგასს კამერები ჰქონდა სკოლაში, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში კი საუბარია დამატებითი კამერების შეძენაზე, რაც არ ქმნის პრობლემას სკოლაში უსაფრთხოების დაცულობის კუთხით. ამასთან, დამატებითი კამერა, რომელიც უნდა განთავსდეს გარე პერიმეტრზე, უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტით გათვალისწინებულ პარამეტრებს. შესაბამისად, მონიტორინგის სამსახურმა იშუამდგომლა აღნიშნული საკითხის დაწესებულების სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ სრულად გამოასწორა სხვა დანარჩენი ხარვეზი, ხოლო უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, მონიტორინგის სამსახური კისრულობდა ვალდებულებას, უახლოეს მომავალში გადაემოწმებინა დაწესებულების მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - პეგასში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პეგასის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - პეგასის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## **2. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ 2012 წლის 28 მარტსა და 19 აპრილს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენციები (ცენტრში რეგისტრაციის №03-2781 და №03-3678) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

### **3. შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 3 აპრილს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-3025) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ყველა დაფიქსირებული ხარვეზი იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

#### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - იოანე პეტრიწის სახელობის სკოლა იბერიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



#### 4. შპს - ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 3 აპრილს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-3029) შესწავლის შედეგად დადგინდა, დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი იყო გამოსწორებული. შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

##### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შეძენის თაობაზე დაწესებულებას 2012 წლის 14 მარტს დადებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულება შპს - „ჯეო დეკორთან“, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად გადახდილია 5600 ლარი (12000 ლარიდან), ხოლო საქონლის მიწოდების ბოლო ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 30 მაისი.

1.2 დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნების გარკვეულ რაოდენობაზე არ არის შესაბამისი ფორმით მინიჭებული ნომერი და დასმული ბეჭედი.

1.3 სსსმ მოსწავლეთათვის სკოლას არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შპს - ინტელექტს გადახდილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ღირებულების 45%. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად გადაიხდიდა ლაბორატორიების ღირებულების თანხას მას შემდეგ, რაც შპს - „ჯეო დეკორი“ სკოლას მიაწოდებდა საქონელს.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულ ყველა წიგნზე დასმული იყო ბეჭედი და ყველა მათგანს ჰქონდა მინიჭებული ნომერი.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში დამონტაჟებული იყო ადაპტირებული სველი წერტილი. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი ფოტომასალა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - ინტელექტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## 5. შპს - პროგრესი 010-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 3 აპრილს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-3028) შესწავლის შედეგად დადგინდა, დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი იყო გამოსწორებული. შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შეძენის თაობაზე დაწესებულებას 2012 წლის 14 მარტს დადებული აქვს ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „ჯეო დეკორთან“, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად გადახდილია 5800 ლარი (12000 ლარიდან), ხოლო საქონლის მიწოდების ბოლო ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 30 მაისი.

1.2 დაწესებულებაში არსებული წიგნების გარკვეულ რაოდენობაზე არ არის შესაბამისი ფორმით მინიჭებული ნომერი და დასმული ბეჭედი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას გადახდილი ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ღირებულების 45%. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულად გადაიხდიდა ლაბორატორიების ღირებულების თანხას მას შემდეგ, რაც შპს - „ჯეო დეკორი“ სკოლას მიაწვდიდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების აღჭურვილობას.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულ ყველა წიგნზე დასმული იყო ბეჭედი და ყველა მათგანს ჰქონდა მინიჭებული ნომერი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - პროგრესი 010-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - პროგრესი 010-ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - პროგრესი 010-ის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## 6. შპს - ქორალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ 2012 წლის 30 მარტს ცენტრში წარმოდგენილ იქნა №03-2912 კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა, გარდა შემდეგი შენიშვნისა:

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მე-5, მე-7 და მე-9 კლასების საკლასო ჟურნალებში, არ არის შევსებული მე-2 სემესტრის გაკვეთილების ცხრილი, არ არის ჩამოჯამებული ნიშნები და გაცდენები, გარდა ამისა სკოლაში არ მიმდინარეობს გაცდენების დაფიქსირება საკლასო ჟურნალებში (მაგალითად, მე-5 კლასის მასწავლებელმა, ეთერ ბოკველაძემ, სია ამოიკითხა და მოსწავლეებს, რომლებიც გაკვეთილს არ ესწრებოდნენ „არა“ არ ჩაუწერა), ხოლო საკლასო ჟურნალებში „შენიშვნები საკლასო ჟურნალის წარმოების შესახებ“ გრაფაში არ არის ხელი მოწერილი შენიშვნებზე უფლებამოსილი პირების მიერ.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული საკითხი გახდა პედსაბჭოს განხილვის საგანი და შესაბამის მასწავლებელს უკვე გამოეცხადა საყვედური.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ქორალში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქორალის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ქორალის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## 7. შპს - საუნჯეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ 2012 წლის 20 აპრილს ცენტრში წარმოდგენილ იქნა №03-3731 კორესპონდენცია, რომლითაც მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გამოსწორდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - საუნჯეში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საუნჯის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - საუნჯის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

**8. შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიან სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც საბჭოს მოახსენა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები.

**1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 სკოლა განთავსებულია ქ. თბილისში - ბოგდან ხმელნიცკის ქ. N48 მდებარე შპს „სასწავლო სამეცნიერო ცენტრის“ შენობის პირველ სართულზე 256 კვ.მ და მეორე სართულზე მდებარე სამ ოთახში. დაწესებულება იჯარის ხელშეკრულებით აღნიშნულ მისამართზე ფლობს 796 კვ.მ. ფართს, სკოლამ წარმოადგინა როგორც საჯარო რეესტის ამონაწერი, ასევე შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმებული შპს „სასწავლო სამეცნიერო ცენტრსა“ და სკოლას შორის. წარმოდგენილი დოკუმენტებით არ ჩანს თუ რომელ სართულზე ან რომელ კონკრეტულ ფართზე აქვს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება. (საკადასტრო კოდი №01.17.11.027/013 და ხელშეკრულება). რაც შეეხება მე-2 სართულზე განთავსებულ ოთახებს, სკოლამ ვერ წარმოადგინა იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტები.

1.2 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია საერთო ჯამში 10 ინდივიდუალური და 52 ორადგილიანი მერხით. ორადგილიანი მერხები არ შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციებს“. ავტორიზაციით განსაზღვრული კონტიგენტის უზრუნველსაყოფად დამატებით ესაჭიროება 108 ინდივიდუალური მერხი.

1.3 სკოლა ფლობს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას, რომელიც მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს იყო ყუთებში ჩალაგებული.

1.4 დაწესებულებას სპორტის სახეობად არჩეული აქვს ჭადრაკი. სკოლას არ გააჩნია სპორტული დარბაზი, დირექციის განმარტებით სარგებლობს შპს „სასწავლო სამეცნიერო ცენტრის“ მფლობელობაში არსებული სპორტული დარბაზით, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება არ წარმოუდგენიათ.

1.5 დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

1.6 სკოლა ფლობს 16 ცალ დენის ინდივიდუალურ გამათბობელს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სათანადოდ ოთახების გათბობას.



1.7 დაწესებულების ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მე-2 სათულზე, ბიბლიოთეკაში არის საინვენტარო წიგნი, არ არის ანბანური კატალოგი და სკოლის სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელოები.

1.8 სკოლა ფლობს 6 ცალ კომპიუტერს, აქედან 5 განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, ხოლო 1 მანდატურის ოთახში. დირექტორის კაბინეტში განთავსებული 5 კომპიუტერიდან 2 არ მუშაობდა, ხოლო დარჩენილი 3 კომპიუტერიდან ინტერნეტით უზრუნველყოფილია 2 კომპიუტერი. სკოლის ვებგვერდია [www.lampari.at.ua](http://www.lampari.at.ua) მონიტორინგის დროს არ მუშაობდა.

1.9 სკოლას არა აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.10 სკოლას გააჩნია 2 (ორი) უსაფრთხოების კამერა, აქედან 1 (ერთი) შიდა პერიმეტრზეა განთავსებული, ხოლო 1 (ერთი) სკოლის შესასვლელში, ვიდეო მეთვალყურეობის მონიტორი განთავსებულია მანდატურების ოთახში, ვინაიდან მანდატური ვიზიტის დროს უკვე წასული იყო სკოლიდან, ვერ მოხერხდა ჩანაწერების ნახვა. გარე პერიმეტრის კამერის ტექნიკური მახასიათებლები ვერ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, ვერ დგინდება გარე კამერების შესაბამისობა დადგენილ სტანდარტთან.

1.11 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ საკლასო ჟურნალებში არ არის შეტანილი მე-2 სემესტრის გაკვეთილების ცხრილი, არ არის გაკვეთებული მიმდინარე ქულებისა და გაცდენების დაჯამება. საკლასო ჟურნალის გვერდზე „შენიშვნები საკლასო ჟურნალის წარმოების შესახებ“ არ არის უფლებამოსილი პირების ხელმოწერები.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპისათვის ყველა ხარვეზი გამოსწორებულია. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრისადმი მიმართვის საფუძველზე, დაწესებულების სარეგებლობაში არსებული ფართის გამიჯვნა მოხდა სართულების მიხედვით.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - „ლამპარის“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის, მრავალდარგოვანი კოლეჯის, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის ორკვირიანი (10 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიანი სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - „ლამპარი“ საქართველოს ტელეკომუნიკაციისა და მენეჯმენტის ინსტიტუტი, მრავალდარგოვანი კოლეჯი, საშუალო ზოგადი განათლების კერძო მრავალპროფილიან სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 14 დღის ვადა.

## **9. შპს - დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### **1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია, საერთო ჯამში, 48 ინდივიდუალური და 103 ორადგილიანი მერხითა და შესაბამისი რაოდენობის სკამით. ორადგილიანი მერხის ფლობა არ შესაბამეობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციებს“.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული კონტიგენტის უზრუნველსაყოფად სკოლას, დამატებით, ესაჭიროება 197 ინდივიდუალური მერხი.

წარმოდგენილია 2011 წლის 1 სექტემბრის ჩუქების აქტი 200 ცალ ორადგილიან მერხზე. აღნიშნული ვერ ჩაითვლება ხარვეზის გამოსწორებად.

1.2 სკოლას აქვს არასტანდარტული ფართის ოთახი, რომელსაც იყენებს სპორტულ დარბაზად.

1.3 გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არ გააჩნია ელექტროენერჯის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

წარმოდგენილია 2011 წლის 4 დეკემბრის ალტერნატიული დენის წყაროს ჩუქების აქტი. არ დასტურდება სკოლის მიერ ბალანსზე აყვანის ფაქტი.

1.4 სკოლის ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოების შერჩევითი შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლა არ ფლობს სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების მე-12 კლასის სახელმძღვანელოს (ავტორი ნ. ტალახაძე).

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა, ჩუქების აქტის საფუძველზე, ფლობს 245 მერხსა და გენერატორს, რომელსაც აიყვანს სკოლის ბალანსზე.

სახელმძღვანელოსთან დაკავშირებულ ხარვეზზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის პედაგოგს ჰქონდა გატანილი ბიბლიოთეკიდან, რომელიც შემდგომ დააბრუნა ბიბლიოთეკაში და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აგრეთვე, წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი ანგარიშვაქტურები წარმოდგენილი იქნა ცენტრში.

გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსის, გიორგი ელისაბედაშვილის, განმარტებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა

მხოლოდ, ინგლისური ენის სახელმძღვანელოების შესყიდვის ფაქტი, ხოლო სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების მე-12 კლასის სახელმძღვანელოსი - არა.

სკოლის დირექტორის განცხადებით, აღნიშნული სახელმძღვანელო არ არსებობს და ახლა ვადის გრიფირებას, შესაბამისად, სკოლას იგი ვერ ექნებოდა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრის, დავით ჭეიშვილის, განცხადებით, ის სახელმძღვანელო, რომელიც არ არსებობს, სკოლას სასწავლო გეგმაში არ უნდა შეეტანა.

სხდომის თავმჯდომარის, დავით კახნიაშვილის, განცხადებით, სკოლამ აღნიშნული შენიშვნა უნდა მიიღოს და გამოასწოროს.

სპორტულ დარბაზთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლა, სპორტული დარბაზისგან დამოუკიდებლად, ფლობს დაახლოებით 80 კვ.მ. ფართის სპორტულ მოედანსაც.

დავით ჭეიშვილის განცხადებით, სკოლას ჰქონდა არასტანდარტული ზომის ოთახი, რომელსაც იყენებდა სპორტულ დარბაზად.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზად არ მიაჩნია, რადგან სკოლას სპორტული მოედანიც აქვს. საბჭომ სპორტულ დარბაზთან დაკავშირებული შენიშვნა არ გაიზიარა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - დამოუკიდებელი სკოლა მოძღვარის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულების მიერ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დადასტურების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა დაწესებულებისათვის ათდღიანი (7 სამუშაო დღე) ვადის განსაზღვრა.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვის გადადების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გადაიდოს შპს - დამოუკიდებელ სკოლა მოძღვარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 10 დღის ვადა.

## 10. შპს - ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა ივერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის სკოლას არა აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ალტერნატიული წყარო.

2012 წლის 6 აპრილს ცენტრში შემოვიდა დაწესებულების კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №03-3337) და წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდა, რომ 2010 წლის 29 მარტის გაფორმებულია გენერატორის ჩუქების ხელშეკრულება, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი - 2012 წლის 29 მარტს.

1.2 სკოლის გარე პერიმეტრის კამერის ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

გარეპერიმეტრის კამერები ვერ უზრუნველყოფენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიის სრულ კონტროლს, დაწესებულებას, დამატებით, ესაჭიროება არანაკლებ 2 (ორი) უსაფრთხოების კამერა.

სკოლამ წარმოადგინა 2 გარე კამერის (3 მეგაპიქსელიანი) შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მაგრამ დამატებითი პარამეტრები აღნიშნული დოკუმენტაციით ვერ დადგინდა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლამ შეიძინა აღნიშნული რაოდენობის კამერები და საბჭოს წარუდგინა მათი ტექნიკური მახასიათებლები.

გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, შეისწავლა აღნიშნული მასალა და დაადასტურა, რომ სკოლა ფლობს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების შესაბამის კამერებს.

დავით კახიაშვილმა კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა 1.1 შენიშვნის შინაარსი.

ნინო ფურცხვანიძის განმარტებით, შენიშვნა ეხებოდა დოკუმენტაციის თარიღს, რადგან მიღება-ჩაბარების აქტი ჩუქებიდან 2 წლის შემდეგ იყო გაფორმებული.

საბჭომ აღნიშნული შენიშვნა არ გაიზიარა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა ივერიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა ივერიის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ნინო გერგიძე კერძო მრავალპროფილიან საშუალო სკოლა ივერიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

## 11. შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების საკლასო ოთახები აღჭურვილია, საერთო ჯამში, 369 ინდივიდუალური მერხითა და შესაბამისი რაოდენობის სკამით. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ორ ცვლაში, პირველ ცვლაში - 403 მოსწავლე, ხოლო მეორე ცვლაში - 100 მოსწავლე.

სკოლის ბალანსზე ირიცხება 840 ცალი მოსწავლის მაგიდა და სკამი, ხოლო ვიზიტის დროს, ადგილზე არ დაფიქსირდა 471 ცალი მოსწავლის მაგიდა და სკამი. დირექციის წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული რაოდენობის ინვენტარი ინახება სხვა ფართში.

1.2 სკოლას გააჩნია არასტანდარტული ზომის ოთახი, რომელსაც იყენებს სპორტულ დარბაზად.

1.3 სკოლის ბიბლიოთეკას არ გააჩნია ანბანური კატალოგი.

1.4 სკოლას არა აქვს ადაპტირებული სველი წერტილი (ხელის მოსაკიდი/საყრდენი).

1.5 სკოლის ვებგვერდის [www.ninoskola.ge](http://www.ninoskola.ge) ორი ბმული (ელექტრონული ჟურნალი და წრეები) არ ფუნქციონირებდა.

1.6 სკოლას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.7 სკოლის გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერების განლაგება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიის სრულ კონტროლს. სკოლის ძირითად შესასვლელში საჭიროა დამონტაჟდეს 2 (ცალი) გარე პერიმეტრის კამერა, რითაც გაკონტროლდება, ასევე, ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილი.

1.8 მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალების შერჩევითმა შემოწმებამ აჩვენა, რომ მე-12<sup>2</sup> კლასში მათემატიკის მასწავლებელს, ავთანდალ ლომსიანიძეს, არ ესწრებოდა გაკვეთილზე 14 მოსწავლე, მაგრამ არც ერთ მათგანს „არა“ არ ეწერა. აგრეთვე, საკლასო ჟურნალებში არ არის ქულებისა და გაცდენების დაჯამებები და ჟურნალში დაშვებული შეცდომების გასწორებაზე არ არის მასწავლებლის, დამრიგებლისა და დირექტორის ხელმოწერები.

საბჭომ 1.1 და 1.5 შენიშვნები არ გაიზიარა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ავტორიზაციის დროს, სკოლას ჰქონდა თემატური კატალოგი, ხოლო მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შემდგომ, სკოლის ბიბლიოთეკაში გაკეთდა ანბანური კატალოგიც.

სკოლის წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობის დამადასტურებელი ფოტომასალა, ხოლო კამერებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, სკოლის წარმომადგენელმა, ნათია ქაჯაიამ, განაცხადა, რომ შესაბამის კომპანიას უკვე მისცეს შეკვეთა, ხოლო საქონლის ჩამოტანის შემდგომ მოხდება ხელშეკრულების გაფორმება.

გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლაში დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერები. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას დამატებით ესაჭიროებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისი ვიდეოკამერების შეძენა.

დავით კახიაშვილმა, რადგან სკოლა აკონტოლებდა გარე პერიმეტრს, მიმართა სკოლის წარმომადგენელს კამერების შესყიდვისთანავე წარმოედგინათ ცენტრში აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო მონიტორინგის სამსახურს წარმომადგენლებს სთხოვა გადაემოწმებინათ აღნიშნული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებს, ადასტურებდნენ თუ არა ისინი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა სხვა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, გიორგი ელისაბედაშვილმა, დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭომ განიხილა შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

#### **გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა ნინოს ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.



## 12. შპს - ინტელექტი XXI-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 6 აპრილს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-3339) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი იყო გამოსწორებული. შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებაში არის 3 სველი წერტილი, რომელიც მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სანიტარულ ნორმებს (დგას არასასიამოვნო სუნს).

1.2 დაწესებულებაში, ვიზიტის დროს, ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკის შემოწმება. დირექციის წარმომადგენლის განმარტებით, ბიბლიოთეკის გასაღები ჰქონდა ბიბლიოთეკარს, რომელიც სამსახურში არ იყო.

1.3 სკოლის გარე პერიმეტრის კამერის ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 3 მეგაპიქსელიანი კამერის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სხვა პარამეტრები დოკუმენტაციაში არ არის მითითებული.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლაში იყო 5 სველი წერტილი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნა ეხებოდა სკოლაში სანიტარული ნორმების დაუცველობას. სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულების ტექნიკური პერსონალის მიერ ინტენსიურად ხდებოდა სველი წერტილების დალაგება და დასუფთავება.

1.2 შენიშვნაზე სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლის ბიბლიოთეკარი იყო შვეულებაში, შესაბამისად, ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკის დეტალური გადამოწმება. შპს - ინტელექტი XXI-ის წარმომადგენელმა წარმოადგინა სკოლის ბიბლიოთეკის ამსახველი ფოტომასალა.

1.3 შენიშვნაზე დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლამ დამატებით შეიძინა 2 ვიდეოკამერა, რომლის პარამეტრებიც შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოსწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - ინტელექტი XXI-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ინტელექტი XXI-ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ინტელექტი XXI-ის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

### **13. შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მონიტორინგის ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ 2012 წლის 11 აპრილს ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ცენტრში რეგისტრაციის №03-3486) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი იყო გამოსწორებული. შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა ისაუბრა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

#### **1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 სკოლას გააჩნია არასტანდარტული ფართის ოთახი, რომელსაც იყენებს სპორტულ დარბაზად.

1.2 სკოლა ფლობს ელექტროგამათბობლებსა და შეშის ღუმელებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სკოლის შენობის სათანადოდ გათბობას.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლა მიმდინარე სემესტრის დასრულების შემდგომ გეგმავდა ცენტრალური გათბობის დამონტაჟებას. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნებოდა სკოლის შენობის სათანადოდ გათბობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კითხვით გარე მონიტორინგის სამმართველოს უფროსს, გიორგი ელისაბედაშვილს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულებამ გამოასწორა ყველა ხარვეზი. მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ დაფიქსირებული ხარვეზები იყო გამოსწორებული.

საბჭომ განიხილა შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

**გადაწყვეტილება:**

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

#### **14. შპს - ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 500-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლას მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით შეეძლო 500 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის

სახელობის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 248053500) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით.

**15. შპს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა) ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა) ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ხარაგაულის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას (ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა)

(საიდენტიფიკაციო კოდი: 243572834) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.



## 16. შპს - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 3 ვიდეოკამერა, აღნიშნული კამერების საბუთები დაიწვა ხანძრის დროს, ამიტომ ვერ დადგინდა მათი სტანდარტთან შესაბამისობა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ სკოლაში იყო ხანძარი, რის შედეგადაც ვიდეოკამერების ტექნიკური მახასიათებლების შემცველი დოკუმენტაცია დაიწვა. ავტორიზაციის ექსპერტმა მაკა ტუკვაძემ განმარტა, რომ შპს - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლაში დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 2012 წლის 20 აპრილს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება 40 ინდივიდუალური მერხის შეძენის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა 8 კომპიუტერის თაობაზე, სკოლასა და ფიზიკურ პირებს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულებები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 302 მოსწავლისთვის.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 302-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩაქვის წმინდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245443006) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 302-ით.

## **17. ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### **1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

1.1 ა(ა)იპ - „სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლმადიდებლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი“ მდებარეობს ყაზბეგის რაიონის დაბა სტეფანწმინდაში, რეესტრის მიხედვით დაზუსტებული ფართობია 10006 კვ.მ. სამსართულიანი შენობის საერთო ფართობი 3360 კვ.მ, რაც დასტურდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით № 884. გარდა ამისა, ვიზუალური დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ სკოლას აქვს ევროპული სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზი, რომლის საერთო ფართობი, სკოლის მიერ შესრულებული აზომვითი ნახაზის მიხედვით, 408 კვ. მ. დაწესებულებას 10 - წლიანი იჯარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიასთან.

1.2 ექსპერტთა ვიზიტის დროს, ვებგვერდი არ ფუნქციონირებდა.

1.3 ვიზიტის დროს, გარე პერიმეტრის კამერები არ იყო დამონტაჟებული, თუმცა იყო შეძენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 ცეკვის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებული იყო ვაკანსია. თუმცა გაკვეთილები არ ცდება, რადგან ცეკვას ასწავლის პედაგოგი, რომელიც მოსწავლეობის პერიოდში დადიოდა ცეკვის წრეზე და მონაწილეობას იღებდა რაიონის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

რუსულის მასწავლებელს - მარსაგიშვილს, რომელიც სკოლაში ერთადერთი რუსულის პედაგოგია, აქვს სოფლის მეურნეობის ინჟინერ ელექტრიკის კვალიფიკაცია. მან დაამთავრა ორჯონიკიძის სამთო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ინგლისურის მასწავლებელ ირინე ხაიკაშვილს მინიჭებული აქვს გერმანული ენის მთარგმნელ-რეფერენტის კვალიფიკაცია. სკოლაში ასწავლის ინგლისურის სხვა პედაგოგიც. სპორტის პედაგოგს წიკლაურ ყაზბეგს არ აქვს უმაღლესი განათლება, თუმცა წარმოდგენილი იყო მცხეთა-მთიანეთის ჭიდაობის რეგიონალური კავშირიდან, რომ უფლება აქვს იმუშაოს მწვრთნელ მასწავლებლად. სკოლაში იგი ერთადერთი სპორტის პედაგოგია.

დავით კახნიაშვილის განცხადებით, ცეკვის მასწავლებელთან დაკავშირებით პრობლემა არ არის და აღნიშნული ხარვეზი მოხსნა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, გადამოწმდა ინფორმაცია ექსპერტებთან და დადგინა, რომ სხვა პედაგოგებს მინიმუმ 10 წლის სამუშაო გამოცდილება აქვთ. აღნიშნული დაადასტურა ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ.

საბჭომ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული შენიშვნები მოხსნა.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლიდანაც ირკვევა, რომ დაწესებულებამ გამიჯნა შენობისა და სპორტული დარბაზის ფართი.

ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ, საბჭოს დაუდასტურა, რომ სკოლის ვებგვერდი, იმ დროისათვის, უკვე ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

კამერებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა დოკუმენტაცია კამერების შესყიდვისა და დამონტაჟების დასადასტურებლად.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, მერხების რაოდენობის მიხედვით, შეეძლო 210 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 210-ით განსაზღვრის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა”

ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონს (საიდენტიფიკაციო კოდი: 241499703) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210-ით.

## 18. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება შპს. „ოპტიმუმთან“ (20 მარტი 2012), რომელიც ვალდებულებას იღებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში სკოლის გარე პერიმეტრზე დააყენოს 2 გარემთვალყურეობის კამერა, რომლებიც აკმაყოფილებს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მადიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა კამერების დამონტაჟების დამადასტურებელი მასალა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 120-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას.

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას ამ ეტაპისათვის.

სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, სკოლაში ირიცხებოდა 90 მოსწავლე.

შესვენება გამოცხადდა 19:59

სხდომა განახლდა 20:19

ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლა მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, მერხების რაოდენობის მიხედვით, შეეძლო 90 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 225398272) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

## 19. შპს - აპოდიქსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლისათვის აქვს არასრული ლაბორატორია. სტანდარტის შესაბამისი ლაბორატორიული მოწყობილობების შესამენად კი გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ვერიკა-ზუსთან“ (20.03.2012), რომლის თანახმადაც გადახდილი აქვთ 1000 ლარი, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 სამუშაო დღეში გადაიხდიან დარჩენილ თანხას.

1.2 სკოლას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წარუდგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დაადასტურა სკოლის მიერ ლაბორატორიის ფლობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ, საბჭოს განუმარტა, რომ დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან, მხოლოდ ფორმალური მხარე არ არის დასრულებული, კერძოდ, მანდატურის სამსახურის მიერ ხელშეკრულება არ არის ხელმოწერილი, რადგან აღნიშნული სამსახურის უფროსი არ იმყოფებოდა. ინფორმაცია დადასტურებულია მანდატურის სამსახურის მიერ და ცენტრის მიერ ამ პროცედურის დასრულება ადვილად გადამოწმებადია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა



ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - აპოდიქსი მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, მერხების რაოდენობის მიხედვით, შეეძლო 180 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წარუდგინა დამატებით 20 მერხის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ნანა ჭილაძემ, აღნიშნულის გათვალისწინებით, თანხმობა განაცხადა 200 მოსწავლის მიღების უფლებაზე.

საბჭომ იმსჯელა შპს - აპოდიქსის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აპოდიქსის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აპოდიქსს (საიდენტიფიკაციო კოდი: 239869415) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

## 20. შპს - ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### 1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 სკოლას შეძენილი აქვს ბიოლოგია - ანატომიის ლაბორატორიის აღჭურვილობის 100 %, ფიზიკის ლაბორატორიის აღჭურვილობის 75% და ქიმიის ლაბორატორიის აღჭურვილობის 50%.

1.2 სკოლაში არის ცენტრალური გათბობა, თუმცა შესაბამის დაწესებულებასთან გაზის მიწოდებაზე ჯერ არ არის ხელშეკრულება გაფორმებული.

თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წარუდგინა დოკუმენტაცია ლაბორატორიის სრულად შევსების შესახებ.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადასტურა, რომ სკოლა ფლობს ლაბორატორიის სრულ აღჭურვილობას.

გათბობასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ზამთარში სკოლა ელექტრო ღუმელებით თბება, ხოლო გაზისმიწოდებაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 205-ით განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭილაძემ, განაცხადა, რომ შპს - ლამპარი მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კერძოდ, მერხების რაოდენობის მიხედვით, შეეძლო 180 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სკოლის დირექტორმა საბჭოს წარუდგინა დამატებით 25 მერხის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ნანა ჭილაძემ, აღნიშნულის გათვალისიწნებით, თანხმობა განაცხადა 205 მოსწავლის მიღების უფლებაზე.

საბჭომ იმსჯელა შპს - ლამპარის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლამპარის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 205-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ლამპარს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208148930) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 205-ით.

## **21. შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 მცირე ბიზნესის ინგლისური ენის სილაბუსის შინაარსი და მითითებული ლიტერატურა არ ითვლისწინებს აღნიშნული დარგის სპეციფიკას.

1.2 სასტუმრო საქმისმწარმოებლის II, III, IV საფეხურების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროგრამაში არ არის მითითებული შუალედური და დასკვნითი შეფასების საათები, თუმცა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შესაბამის სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი შეფასების საათები არის წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მცირე ბიზნესის ინგლისური ენის სილაბუსში ტექნიკური ხარვეზის გამო მითითებული იყო სხვა დარგის ლიტერატურა. შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ მოცემული ხარვეზი იყო გამოსწორებული. აღნიშნულის დასადასტურებლად მან ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ლალი ლოღელიანმა აღნიშნა, რომ 1.2 შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის, ვინაიდან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შესაბამის სილაბუსებში მოცემული იყო შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების საათები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭილაძეს დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის

წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 170 პროფესიული სტუდენტისთვის.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საერთაშორისო კავკასიის ტურიზმის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400030051) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170-ით.

## **22. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლექტორჯიას ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

### **დაწესებულების მისია**

თელავის ბიზნესისა და მართვის კოლექტორჯიას აკადემიური საბჭოს 2011 წლის 3 თებერვლის №1 ოქმით დგინდება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების მისია მიზნებითა და ამოცანებით დამტკიცებულია, როგორც ცალკე დოკუმენტი. ამასთან, აღნიშნული ოქმით აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია “თელავის ბიზნესისა და მართვის კოლექტორჯიას” წესდება, რომლის მე-3 მუხლში ფიქსირდება ამ საგანმანათლებლო დაწესებულების შიანაარსობრივად განსხვავებული მისია. ამავე წესდების მე-4 და მე-5 მუხლებში მოცემულია დაწესებულების მიზნები და ამოცანები. შესაბამისად დაწესებულებას აქვს ორი-ორი - მისია, მიზნები და ამოცანები, რაც იმას ნიშნავს რომ გაურკვეველია ის თუ, რომელი მისიიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

შესაბამისად, შეუძლებელია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასური დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის დაცვა - “ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიიდან გამომდინარე ადგენს დაწესებულების შესაბამისობას შემდეგ სტანდარტებთან: ა) საგანმანათლებლო პროგრამები; ბ) მატერიალური რესურსი; გ) ადამიანური რესურსი“.

### **1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:**

1.1 შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლექტორჯიას აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა, თუმცა აკადემიურ საბჭოს დებულებით მინიჭებული აქვს მხოლოდ “სასწავლო გეგმების” (სასწავლო გეგმას არის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, ამასთან, იხ. ცენტრის დირექტორის 2011 წლის 7 აპრილის №188 ბრძანება) დამტკიცების უფლებამოსილება.

1.2 ყველა სილაბუსის “სწავლისა და სწავლების მეთოდების” გრაფაში ერთნაირადაა მითითებული 14 განსხვავებული სწავლების მეთოდი. სილაბუსებში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელი მეთოდი გამოიყენება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მისაღწევად. შესაბამისად, გაურკვეველია თითოეული სასწავლო კურსით

დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად, ადეკვატურად ხდება თუ არა სწავლების მეთოდების შერჩევა.

1.3 სასწავლო კურსის პროგრამაში “ფინანსური ბაზარი”, დაშვების წინაპირობების გრაფაში მითითებულია სასწავლო კურსი “ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადი თეორია”. აღნიშნული სასწავლო კურსი ისწავლება იმავე სემესტრში, “ფინანსური ბაზრის” პარალელურად და ვერ იქნება ამ კურსის დაშვების წინაპირობა. ამავე ლოგიკით ამ კურსზე არ დაიშვება არც ერთი სტუდენტი, რადგან ვერც ერთი ვერ დააკმაყოფილებს სასწავლო კურსის პროგრამით დადგენილ წინაპირობას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას არ გააჩნია თანმიმდევრული სტრუქტურა. ამით დარღვეულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების მე-9 მუხლის „ა“ პუნქტი.

1.4 სტუდენტის მუშაობის შეფასების განაწილება კომპონენტებს შორის და მათი რეალური დატვირთვა არ არის კონკრეტულად გაწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში. შუალედური შეფასებები განაწილებულია შემდეგნაირად: შუალედური გამოცდები – 30 ქულა, დასწრება – 10 ქულა, სააუდიტორო აქტივობა - 20 ქულა. სილაბუსში არ არის მითითებული, თუ როდის ხდება დასწრების შეფასება - ლექციაზე თუ სამუშაო ჯგუფში. თუ გავითვალისწინებთ შეფასების კომპონენტებს შორის ასეთ განაწილებას, მაშინ დასწრების 10 ქულის განაწილება 14 სალექციო კურსსა და 28 სამუშაო ჯგუფში მუშაობაზე შეუძლებელია. აღნიშნულ სილაბუსებში მითითებულია ქულების განსხვავებულად განაწილება, რაც გულისხმობს შემდეგს: “სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, საკუთარი შეხედულებისამებრ, გარდა შუალედური და ფინალური გამოცდისა, თავად განსაზღვრავს ქულათა დარჩენილი რაოდენობის გადანაწილებას სხვადასხვა კომპონენტებში.” ეს ადასტურებს იმას, რომ დასწრებისა და სააუდიტორო აქტივობის ქულები ლექტორს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია სხვანაირად გაანაწილოს, ანუ მოცემული შეფასება შესაძლებელია შეცვალოს ლექტორის სურვილისამებრ. თუ როგორ მოხდება ეს, არ არის გაწერილი. ამდენად, სილაბუსებში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ ხდება სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. ასევე, სილაბუსებში ნათლად და კონკრეტულად არ არის გაწერილი სტუდენტის შეფასება კომპონენტებს შორის. ამდენად, სილაბუსები არ ასახავს სტუდენტის რეალურ აკადემიურ დატვირთვას. ამით დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების პირველი მუხლი.

1.5 საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს “სასწავლო–საწარმოო პრაქტიკას”, რომლის სილაბუსით სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა მოიცავს 5 კრედიტს – 125 სთ, რომელიც განაწილებულია კომპონენტებს შორის: პრაქტიკული მეცადინეობა, კონსულტაცია, შუალედური შეფასება, საბოლოო გამოცდა და დამოუკიდებელ სამუშაო. ამ კომპონენტებს შორის განაწილებული საათების ჯამური რაოდენობა არის არა 125 საათი, არამედ 197 საათი. საგანმანათლებლო პროგრამით - ერთი კრედიტი არის 25 საათი. ამდენად, სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად სამუშაოს მოცულობა, გამოხატული დროის ერთეულში, უნდა შეესაბამებოდეს კრედიტების რაოდენობას. ასევე, კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მისაღწევად. აქედან გამომდინარე, თუ აღნიშნული “სასწავლო–საწარმოო პრაქტიკის” გავლის შემდეგ შედეგების მისაღებად საჭიროა 197 საათი, მაშინ ეს შეადგენს დაახლოებით 7 კრედიტს, რომლის ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არ არის. ამით დარღვეულია

“უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

1.6 საგანმანათლებლო პროგრამის “შეფასების ზოგად წესში”, ასევე სილაბუსების “ცოდნის შეფასების სისტემაში” არ არის განსაზღვრული სტუდენტისათვის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი.

1.7 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია ინგლისური ენის სწავლება, თუმცა არ არის განსაზღვრული უცხო ენის კომპონენტის დაძლევის პირობების დაცვა. შესაბამისად, დარღვეულია “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-15 პუნქტი.

1.8 კოლეჯს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, თუმცა იგი ერთგვარ წინააღმდეგობაშია თავად დაწესებულების სტრუქტურასთან, მაგალითად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა „საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები“, რომელიც ეხება სწავლების სხვადასხვა საფეხურს (საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამებს), თუმცა კოლეჯი თავად გეგმავს მხოლოდ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას. თანდართული კურიკულუმის შემოწმების ფორმაც მოიცავს, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის შეფასებას.

## **2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:**

2.1 აღნიშნული იურიდიული პირი დაფუძნებულია ერთპიროვნულად ლიანა ჯანაშიას მიერ. დამფუძნებლის №2 ბრძანებით დაინიშნა რექტორი – გიორგი ჯანაშია, დამტკიცდა “აკადემიური საბჭოს შემადგენლობა” და “კოლეჯის აკადემიური საბჭოს დებულება”. აღნიშნული დებულებით აკადემიურ საბჭოს სამართლებრივი აქტების დამტკიცების უფლებამოსილება არ გააჩნია, თუმცა დაწესებულებაში წარმოდგენილი ძირითადი სამართლებრივი აქტები – “წესდება”, “შინაგანაწესი”, “ეთიკის კოდექსი”, “კოლეჯის სტრუქტურა” დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ.

2.2 კოლეჯის აკადემიური საბჭოს დებულებაში მითითებულია შემდეგი: “კოლეჯის აკადემიური საბჭო არის კოლეჯის წარმომადგენლობითი მართვის ორგანო”. აქედან გამომდინარე, თუ ვივარაუდებთ იმას, რომ დამფუძნებელმა ამ ჩანაწერის თანახმად, აკადემიურ საბჭოს მიანიჭა უფლებამოსილება დაწესებულების მართვის, ძირითადი სამართლებრივი აქტების დამტკიცებისა თუ სტრუქტურული ერთეულების განსაზღვრების შესახებ, მაშინ აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 3 თებერვალს დამტკიცებულ წესდებას იურიდიული ძალა აქვს. ამ წესდების თანახმად, საზოგადოების უმაღლეს ორგანოს წარმომადგენს აკადემიური საბჭო, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევას. წესდებით განსაზღვრულია მართვის ორგანოები: დამფუძნებელთა საბჭო, აკადემიური საბჭო, რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. წესდების მე-10 მუხლის თანახმად, დამფუძნებელთა საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს კოლეჯის წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსსა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებს, სტრუქტურასა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს. თუმცა, აღნიშნული სამართლებრივი აქტები დამტკიცებულია არა დაფუძნებელთა კრების მიერ, არამედ აკადემიური საბჭოს მიერ. ამავე წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში



აკადემიური საბჭო ამტკიცებს მხოლოდ სტრატეგიულ გეგმას, “სასწავლო გეგმებს”. შესაბამისად, ყველა სხვა სამართლებრივი აქტი არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ არის დამტკიცებული.

აღნიშნულის თანახმად, დაწესებულებაში უფლებამოსილი პირის მიერ არ არის დამტკიცებული დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რომელიც უზრუნველყოფდა დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ამავე დროს დარღვეულია “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტს, რომლის თანახმადაც დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უნდა უზრუნველყოფდეს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

2.3 პირველ სართულზე განლაგებულია აუდიტორიები, კომპიუტერული ოთახი, რაც საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომი იქნება სსსმ სტუდენტისთვის, თუმცა, ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებულია მე-3 სართულზე. პირველ სართულზე გამოყოფილია ადგილი ადაპტირებული სველი წერტილის მოსაწყობად.

2.4 “საბაკალავრო პროგრამით” განსაზღვრულია “ელექტრონული სწავლება”, რომლის უზრუნველყოფისათვის დაწესებულებას არ გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი.

2.5 საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში დაწესებულების ბიბლიოთეკა ჩართული არ არის.

2.6 დაწესებულების ვებგვერდი - [www.tebico.ge](http://www.tebico.ge) ნაწილობრივ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია: ინფორმაცია დაწესებულების, მისი სტრუქტურის და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შესახებ (დებულებები), ფაკულტეტისა და სპეციალობის დასახელება, მონაცემები აკადემიური პერსონალის შესახებ. საიტზე არაა განთავსებული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის კატალოგი და პროგრამის სილაბუსები.

2.7 უნივერსიტეტის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსება (კოლეჯი გეგმავს მხოლოდ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას).

### **3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:**

3.1 სრული პროფესორი ანა მარუაშვილი, რომელიც ასევე არის პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის მონაცემების მიხედვით აკადემიურ თანამდებობაზე ირიცხება სასწავლო უნივერსიტეტ „რვალში“ სრულ პროფესორად და შპს - ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ასოცირებულ პროფესორად. ამავე, ანა მარუაშვილის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულება.

3.2 ასისტენტ პროფესორის რუსუდან ნანავას პირადი საქმით დგინდება, რომ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც არ შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი ლალი ლოღელიანი დაინტერესდა, თუ რატომ ჰქონდა დაწესებულებას ორი მისია. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიურ

საბჭოზე მიღებული იქნა კოლეჯის მისია, ამავდროულად დაწესებულების დირექტორის მიერ, დაწესებულების ვებგვერდზე განთავსების მიზნით, ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებული იქნა მისია. კოლეჯის დირექტორმა აღნიშნა, რომ ცალკე დამტკიცებულ მისიაში მოცემული იყო მხოლოდ ზოგადი ნორმები. ლალი ლოღელიანმა კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს თამარ ვეფხვაძეს, იყო თუ არა ეს ორი მისია შინაარსობრივად მსგავსი. თამარ ვეფხვაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილ მისიებს შორის არ იყო ტექსტუალური დამთხვევა. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ შინაარსობრივად ამ მისიებს შორის არანაირი სხვაობა არ იყო. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას დამფუძნებელმა განმარტა, რომ აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული მისია იყო უფრო მოცულობითი, ვიდრე ვებგვერდზე განთავსებული. ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, მისია დაწესებულებისთვის არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, შესაბამისად, დაუშვებელია კოლეჯში იყოს შინაარსობრივად ან ტექსტობრივად განსხვავებული მისიები.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკადემიურ საბჭოს უფლებამოსილებაში შედის საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება. შესაბამისად, დაწესებულების აკადემიურ საბჭოს მოცემული კანონის საფუძველზე ჰქონდა უფლებამოსილება, რომ დაემტკიცებინა საგანმანათლებლო პროგრამები. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული და კოლეჯის დებულებით აკადემიურ საბჭოს ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება. ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, აღნიშნული შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის. მოცემული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალთან კონსულტაციების შედეგად, მათივე თხოვნით, ყველა სილაბუსის „სწავლისა და სწავლების მეთოდების“ გრაფაში ჩაწერილ იქნა 14 განსხვავებული სწავლების მეთოდი. კოლეჯის დირექტორის განმარტებით, პროფესორ-მასწავლებლები თვლიდნენ, რომ სწავლებისას გამოიყენებდნენ ყველა ამ მეთოდებს. ავტორიზაციის საბჭოს წევრი ლალი ლოღელიანი არ დაეთანხმა მოცემულ მოსაზრებას. ლალი ლოღელიანის მოსაზრებით, რეალურად შეუძლებელია სწავლებისას თოთხმეტივე მეთოდის გამოყენება. ლალი ლოღელიანმა დამატებით განმარტა, რომ თითოეული სწავლების მეთოდი საჭიროებს შეფასებას, რაც შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას შეფასების წესში არ ჰქონდა გაწერილი. შესაბამისად, სწავლისა და სწავლების მეთოდებში მოცემული უნდა იყოს არა ყველა, არამედ მხოლოდ ის მეთოდები, რომლებიც რეალურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იზიარებდნენ მოცემულ შენიშვნას და მომავალში გამოსწორებდნენ.

1.3 ხარვეზთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ იზიარებდნენ შენიშვნას. კოლეჯის დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზი იყო ტექნიკური ხასიათის და ავტორიზაციის ექსპერტა ვიზიტის დასრულების შემდგომ მოცემული შენიშვნა იყო გამოსწორებული. დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, ის ფაქტი, რომ სასწავლო პროგრამაში დაშვების წინაპირობები იყო არასწორად მითითებული, იყო არსებითი ხასიათის ხარვეზი. აღნიშნული გარემოება მიუთითებდა იმაზე, რომ სასწავლო პროგრამას არ ჰქონდა თანმიმდევრული სტრუქტურა.

1.4 ხარვეზზე ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ სილაბუსში დეტალურად უნდა ყოფილიყო გაწერილი, თუ როგორ ხდებოდა დასწრებისა და სააუდიტორო აქტივობისთვის გათვალისწინებული 30 ქულიანი შეფასების განხორციელება.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული ხარვეზი იყო ტექნიკური ხასიათის. რეალურად სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისთვის გათვალისწინებული იყო 10 კრედიტი, პროფესორ-მასწავლებლებს 10 კრედიტის ნაცვლად შეცდომით მითითებული ჰქონდათ 5 კრედიტი. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ანა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ 125 საათი, რომელიც გათვალისწინებული იყო სასწავლო-საწარმოო პრაქტიკისთვის, საკმარისი არ იყო 10 კრედიტისთვისაც. დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, მოცემული შენიშვნა ასევე იყო არსებითი ხასიათის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნულ ხარვეზს გამოასწორებდნენ.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯის აკადემიური საბჭო იყო წარმომადგენლობითი მართვის ორგანო, რომელიც იხილავდა სამართლებრივი აქტის პროექტებს და ამის შემდგომ ამტკიცებდა კოლეჯის რექტორი. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული იყო აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებები. შესაბამისად, კოლეჯში არსებულ აკადემიურ საბჭოსაც ჰქონდა ანალოგიური უფლებამოსილებები, რომლებიც მოცემული იყო ზემოაღნიშნულ კანონში. ლალი ლოდელიანის მოსაზრებით, დაწესებულების დებულებაში დეტალურად უნდა იყოს მოცემული აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებები.

2.3 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ლოდელიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელ სართულზე იყო დამონტაჟებული სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული სველი წერტილი. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადაპტირებული სველი წერტილი დამონტაჟებული იყო შენობის მე-3 სართულზე. ავტორიზაციის ექსპერტმა თამარ ვეფხვაძემ აღნიშნა, რომ პანდუსები შენობის მე-2 და მე-3 სართულებზე დამონტაჟებული არ იყო.

2.4 შენიშვნასთან დაკავშირებით დავით კახნიაშვილმა კითხვით მიმართა კოლეჯის წარმომადგენელს, როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულება ელექტრონული სწავლების განხორციელებას. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯის ვებგვერდზე მოცემული იყო ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ელექტრონული ვერსიები, 2 ქსეროქსისა და 3 პრინტერის აპარატი. დავით კახნიაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა კოლეჯი ჩართული საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯი საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში არ იყო ჩართული.

3.2 შენიშვნასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა კავკასიის უნივერსიტეტის მიერ 2010 წლის 3 ნოემბერს გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც რუსუდან ნანავა არის ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი.

სხდომის თავმჯდომარის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დაკვანაში მოცემული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ ჯორჯიას უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:11 საათზე.

დავით კახნიაშვილი   
თავმჯდომარე

ანა კლდიაშვილი  
მდივანი

